დინარი, რომელიც დახარჯე ალლაჰის გზაზე, დინარი, რომელიც დახარჯე მონის გათავისუფლებაზე, დინარი, რომელიც გაიღე გლახაკისთვის, და დინარი, რომელიც დახარჯე შენს ოჯახზე – ყველაზე დიდი ჯილდო აქვს იმ დინარს, რომელიც შენს ოჯახზე დახარჯე

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «დინარი, რომელიც დახარჯე ალლაჰის გზაზე, დინარი, რომელიც დახარჯე მონის გათავისუფლებაზე, დინარი, რომელიც გაიღე გლახაკისთვის, და დინარი, რომელიც დახარჯე შენს ოჯახზე – ყველაზე დიდი ჯილდო აქვს იმ დინარს, რომელიც შენს ოჯახზე დახარჯე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მოიხსენია ხარჯვის ზოგიერთი სახე და თქვა: დინარი, რომელიც დახარჯე ჯიჰადში ალლაჰის გზაზე, დინარი, რომელიც დახარჯე მონის გათავისუფლებაზე, დინარი, რომელიც გაიღე გაჭირვებულ გლახაკზე, და დინარი, რომელიც დახარჯე შენს ოჯახსა და შვილებზე, შემდეგ მან გვამცნო, რომ მათგან ყველაზე დიდი ჯილდო ალლაჰთან აქვს იმ დინარს, რომელიც დახარჯე შენს ოჯახზე, შვილებზე და მათზე, ვისზეც შენ ხარ ვალდებული ზრუნავდე.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5813